საქართ. მუშათა და გლეხთა სოციალურად მომზადების

ისტორიის მასალები

და

ჩოდრიშვილების გვარის წევრნი

აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ.

ტფილისი — 1928 წ.

Библиотека-Музей имени Акад. И. Джавахишвили Академия наук Грузинской ССР

38379

საიდან წარმოიშობა ჩოდრიშვილების გვარი.

შორეულ დროის ისტორიული გადმოცემა მოგვითხრობს, თუ საიდან წარმოიშვა ჩოდრიშვილების გვარეულობა.

რამოდენიმე თაობიდანვე ისტორიული გადმოცემანი მოგვითხრობენ, რომ ჩოდრიშვილების გვარეულობა წინათ ყოფილან თეთრაშვილები, რომლებიც ტფილისის მაზრის სოფელ დიღმის მკვიდრ მცხოვრებელ გლეხებათ ითვლებოდნენ.

გლეხ თეთრაშვილებს ჰყოლიათ ბატონი, თავადი გურამიშვილები, რომელებიც თავიდგანვე ბატონყმურ უღელს უწევდენ მათ.

XV—XVI საუკუნის წინეთ, თუ უფრო შემდეგ თეთრაშვილების ოჯახი შესდგებოდა რვა სულისაგან:—ხუთი ძმა, ერთი და და მოხუცი მშობლები; ამასთან ერთად კარგი სახლ-კარი და გაძრიელებული ოჯახი.

იმ დროს, დიღმის ირგვლი, მთები დიდი და დაბურული ტყეებით ყოფილა მოცული. ამ ტყეში თეთრაშვილის ბატონები თურმე ხშირად ნადირობდენ; ნადირობის გათავების შემდეგ კი, ბატონი თავისი მხლებლებით, თეთრაშვილების ოჯახს ეწეოდა, აქ კაი ნადიმს მიირთმევდა ხოლმე და საკმარისად ისვენებდა.

როგორც ვიცით, თეთრაშვილების ორ ძმას მუდამ ბატონის სამსახურში ამოსდიოდათ სული, ხოლო დანარჩენი სამი ძმა კი ოჯახს უვლიდნენ, ოჯახას საქმეებს განაგებდნენ, თუმცა ხშირად იმათაც უხდებოდათ ხოლმე ბატონის სამსახური.

ერ დღეს თავადი გურამიშვილი თავის მხლებლებით ტყეში სანადიროთ წასულა და, როცა ნადირობას მორჩენილა, ჩვეულებრივ თეთრაშვილის ოჯახს წვევია. როცა სადილი მიურთმევია და ღვინით კარგათ შეზარხოშებულა, ბატონს უცბათ თვალი მოუკრავს თეთრაშვილის ლამაზ და მშვენიერ ქალიშვილისთვის, რომელსაც ძალიან მოსწონებია. ბატონს ქალის ძმა მოუხმია და უბრძანებია ქალის გაუპატიურებაზე, რომლის შემდეგაც ის, ქალი მასთან უნდა საბოლოოდ გადაეყვანათ სახლში მოსამსახურეთ. ქალის უფროს ძმას ეს სწყენია და ბატონისთვის პატიება უთხოვნია, მაგრამ ბატონი რის ბატონი იყო, რომ თავის ბრძანება არ შეესრულებინა და ყმისთვის დაეთმო! მას თავის ყმის თხოვნა-მუდარა იმდენად სწყენია, რომ ის განრისხებულა და თავის მხლებლებისთვის უბრძანებია ქალის ძალათ დამორჩილებაზე, ხოლო ურჩ თეთრაშვილების კი მთელი ქონების ჩამორთმევა და მათი შებოჭვა და გადაგზავნა თავის სასახლეში.

თავადის ასეთი თავხედობა ყმებმა ვეღარ აიტანეს და მათ შორის ატყდა ხელჩართული ბრძოლა, რომელსაც შედეგათ თეთრაშვილების ორი ძმის

სიკვდილი მოჰყვა, ხოლო მესამე ძმამ იმდენი სიყოჩაღე გამოიჩინა, რომ თავის ორ მკვდარ ძმას ბატონიც ზედ დააკლა. ამის შემდეგ მან მხლებლებს შეუტია და ორიც მათგანი დასჭრა, დანარჩენებმა თავებს უშველეს და დიღომის ტყეში დაიმალნენ.

მკითხველისათვის ახლა აშკარაა, თუ რას უზამდენ ცოცხლად გადარჩენილ საბრალო სოსიკო თეთრაშვილს და მის ოჯახს, მის დანარჩენ ძმებს, დას, მშობლებს და მათ სარჩო-საბადებელს?!

სოსიკომ თავი ამოჰყო სპარსეთის საზღვარზე ერთ სომხის სოფელში და იქ ერთ ჩავლადარს მოჯამაგირეთ დაუდგა, რომელსაც სხვადასხვა ქალაქებში ჯორებით და აქლემებით საქონელი გადაჰქონდ-გადმოჰქონდა. აქ თეთრაშვილმა გვარი და სახელიც გამოიცვალა. სოსიკომ სახელათ ოსკანა დაირქვა, გვარად ჩოდრიანცი. ამის შემდეგ ის იქ სომხის ქალს ირთავს ცოლად და იქვე სახლდება. რამდენიმე წლის შემდეგ სოსიკომ (ახლა უკვე ოსკანამ) საიდუმლეობა ცოლს გაუზიარა და თავის ნამდვილი ვინაობაც შეატყობინა.

ამის შემდეგ დიდმა დრომ არ გაიარა რომ სოსიკო (ოსკანა) თავის ცოლეულ სოფელში გარდიცვალა.

განვლო კარგა დრომ, რომ სოსიკო თეთრაშვილის ჩამომავალთა შვილის შვილებიდგან ერთი შტო გადმოსახლებულა ტფილისში, ხელობით ხარაზი. მას სახელათ პაპია რქმევია. მეორე, ამის ბი-

ძაშვილი, რომელსაც სახელათ მახარე რქმევია და ხელობით ჭონი ყოფილა, ქალაქ სიღნაღში გადასახლებულა. ეს უკანასკნელი სიღნაღის განაპირა უბანში ერთ გლეხის ოჯახში ზედსიძეთ შესულა, რომლისთვისაც სიმამრს სიძისთვის სასახლკარო ადგილი მიუცია სწორედ იქ, სადაც ეხლა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაა აშენებული. რამდენიმე ხნის შემდეგ, საბერძნეთიდან გადმოსულ ათონის ბერებს მახარესთვის ეს ადგილი ჩამოურთმევიათ და ქვემო უბანში, დაბახანების მახლობლად, დაუსახლებიათ.

საქართველოდან გადახვეწილ სოსიკო თეთრაშვილის ჩამომავლობას, როდესაც ისინი საქართველოში ჩამოსულან და დასახლებულან ჩოდრიშვილები უწოდებიათ, რადგანაც რომ მათი პაპა ჩოდროობას ეწეოდა თურმე.

ასე და ამ გვარად, გამოირკვა, რომ ჩოდრიშვილები გვარის ჩამომავლობით თეთრაშვილები ყოფილან, რომლებიც უკულმართ წესწყობილების და ძალადობის გამო, მათ დაჰკარგეს თავიანთი ნამდვილი სახე, და ოდესღაც თეთრაშვილებათ ცნობილნი, დღეს ჩოდრიშვილებათ იწოდებიან.

დღეს კი ჩოდრიშვილების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ისინი, როგორც ტფილისში, ისე კახეთშიც საკმარისად მოიპოვებიან. სოციალური მდგომარეობით ისინი ყველა მუშა-ხელოსნები არიან.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ დღევანდელი

ჩოდრიშვილებიც, როგორც მათი წინაპრები იყვნენ ყოველივე უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლნი, დღესაც ასეთივე ერთგული რევოლიუციონერები არიან.

ერთ დროს იოსებ ჩოდრიშვილს (მიხას მამა) შამილის წინააღმდეგ (1850 წელს) ყოფილა გაწვეული გენერალ გრიგოლ ორბელიანის ჯარში, რომელსაც დაღესტნის მთებში, ანწუხის რაიონში, გრიგოლ ორბელიანი მტრის ხელიდან სიკვდილს გადურჩენია, რომლის გამო იოსებ ჩოდრიშვილი სისხლის ორდენით იყო დაჯილდოებული. ამავე დროს იოსებ ჩოდრიშვილს ერთი ოფიცერი, რომელიც უფრო ყველაზედ რეაქციონერი ყოფილა, მაგრათ გაულახავს. ეს საქმე იქამდის მისულა, რომ იოსებისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტათ, მაგრამ გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა იმდენი ეცადა, რომ სიკვდილით დასჯა ციმბირათ შეაცვლევინა და 7 წლით გადაასახლეს. ვადის გათავების შემდეგ კი იოსები ტფილისში დასახლდა. არც აქ გადურჩა იოსები ბაშინდელ მთავრობას შეუნიშნავი და ერთ მშვენიერ დღეს, საგუბერნიო ციხეში მიაბრძანეს სამი თვით.

იოსებ ჩოდრიშვილი, ლუმპე პროლეტარი, დღიური მუშა, ვერ ურიგდებოდა უსამართლობას; მას საშინლად სძულდა მოძალადეები, ჩარჩ-ვაჭრები მდიდარი, კულაკი, მოვახშე მყვლეფავები, რომელთანაც უხდებოდა ხშირად გამკლავება. ამაზედ კი

იოსებას თვალებში არა ჰკოცნიდნენ და მას მუდამ ეპატიჟებოდენ პოლიციაში და ციხეებში.

ასეთ დაუნდობელ ბრძოლაში გაატარა იოსებმა თავის სიცოცხლე იქამდის, სანამ მას სილარიბე დარევდა ხელს და სრულიად ჯანგატეხილი და დაავადმყოფებელი უკანასკნელათ განუტიებდა სულს. მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ის გარდიცვალა სოფელ ბეჟანიანში, ყვარელის თემში, დღეს ახალ სოფლად წოდებული.

იოსებ ჩოდრიშვილის დაობლებულმა ცოლმა კი, მის სიკვდილის შემდეგ ქალაქ ტფილისს მოატანეს. ისინი ზოგი ხელობაზედ მივიდა, ზოგი მოჯამაგირეთ დადგა და ასე და ამგვარ ტანჯვა-ვაებაში ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებს. ისინი ხშირად ახდენდნენ გაჯიცვას თავიანთ ხაზეინების წინააღმდეგ, რომელზედაც სათანადოთ ისჯებოდნენ.

ამ ბრძოლამ კი ჩოდრიშვილების მთელი ოჯახობა გააკაჟა დიდიდან პატარამდის მოყოლებული. ჯერ კიდევ 1877 წლიდან გარევოლიუციონერდა ეს ოჯახი. მათი სარევოლიუციონურო ასპარეზი დაიწყო ნაროდნიკებიდან (სახალხო პარტია) და მესამე დასელებიდან. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შედიან. პარტიის განხეთქილების შემდეგ კი, ე. ი 1903 წელს ისინი ემხრებიან ბოლშევიკ-კომუნისტებს, რომლებიც დღესაც მისი ერთგული მიმდევრები დარჩნენ და მტკიცეთა სდგანან კომუნიზმის მთლიანობის განმტკიცება-გამაგრების ნიადაგზე.

ძველ ბოლშევიკ კაცების და ქალების პოლიტიკური მუშაობა 1877—1919 წ.წ. და ჩოდრიშვილების რევოლიუციონერობა.

1877 წ. ჩოდრიშვილები პირველად გაეცნენ რუსეთიდან ჩვენში გადმოსახლებულ რევოლიუციონურ ნაროდნიკულ პარტიის წევრებს. ესენი მუშათა რაიონებში და ქარხნებში აწყობდნენ წრეებს, როგორც მაგალითად, ტფილისში ფ. ზეიცრის ქარქარხანა, იარალოვისა, ადელხანოვისა, კოტრინისა, ონანოვისა, რუქსისა, არსენალისა, ილინის და მრავალი სხვა.

ამ სახელოსნო ქარხნებში აწყობდნენ წრეებს და საგაფიცვოთ ამზადებდნენ მუშებს. ამ მუშების ხელმძღვანელად გამოდიოდა უმფროსი ძმა მიხა ჩოდრიშვილი, სემენარიელების ერთი ჯგუფის დახმარებით. ერთ ხელმძღვანელ წრეს, სემინარისტების ჯგუფს, 1880 წელს მიხაც გაეცნა.

ჩოდრიშვილები ხშირად აწყყობდენ თავის საკუთარ ბინაზე 60—80 რიცხვისაგან შემდგარ მუშურ წრეებს, სადაც პოლიტიკურ მოძრაობის აღსნა-განმარტებას აძლევდნენ და თანამედროვე ლიტერატურას უკითხავდნენ.

ერთ დროს პეტერბურგში და მოსკოვში სტუდენტობის არეულება მოხდა. ამის შესახებ აქ რუსეთიდან დევნილ ნაროდნიკებთან ერთად, გეგტოგრაფზე ფურცლები დაბეჭდეს და გაავრცელეს. იქ

სიტყვის, თავისუფლების და პიროვნების ხელშეუ-ხებლობას მოითხოვდნენ. ამ ფურცლების გავრცე-ლება იკისრეს ძმებმა ჩოდრიშვილებმა, რომელთაც დიდის სიფრთხილით და თავგამოდებით მოჰფანტეს სახელოსნოებში, ეზოებში და ქუჩებში. ამაზედ არა ერთი და ორი სასტიკი სასჯელი მიუღიათ მათ მე-ფის მთავრობისგან, მაგრამ ჩოდრიშვილების ქედი ვერ მოუდრეკიათ და ისინი უფრო მეტის ხალისით და ენერგიით განაგრძობდნენ ბრძოლას თვითმპყრო-ბელობის წინააღმდეგ

ჩოდრიშვილები მეტად იყვნენ მოწადინებულ-ნი და ცდილობდნენ, რომ მსოფლიო მუშათა მო-ძრაობის შესახებ ეშოვნათ მასალები და ქართულ ენაზედ ებეჭდათ და მუშებში და გლეხებში ევრცე-ლებინათ. ამავე დროს ისინი ხალხში დიდ საიდუმ-ლო აგიტაციას ეწეოდენ მუშათა კავშირების შექმ-ნაზე, ამხანაგობებზე, არტელებზე და კოოპერატი-ვებებზე.

ძმათა ჩოდრიშვილების რევოლიუციონური გეგმები.

გეგმიანობის მიხედვით, ძმებმა ჩოდრიშვილებმა ურთიერთ შორის შემოიღეს რევოლიუციონური მუშაობის ერთგვარი წესი. მაგალითად, 1. მიხა ჩოდ-რიშვილმა იკისრა წრის მოწყობა, კრებების მოწვე-ვა და აგიტატორ-პროპაგანდისტების მოწვევა, თავის ბინაზედ.

2. ფურცლების საბეჭდავათ გაეკეთა ხის საბეჭდავი დაზგა, საიდუმლო შკაფები, ჩანთები, საწერი მაგიდები და სხვ.

3. საიდუმლო ლიტერატურის, იარაღის, ბეჭდების და სხვადასხვა ნივთების შესანახი ყუთების გაკეთება.

4. შოვნა სხვადასხვა საბუთების, პასპორტების, ბლანკების და სამამასახლისო ბეჭდების, არალეგალურ ამხანაგებზედ გასაცემად.

5. შეენახა ციმბირიდან და ციხეებიდან გამოპარული ამხანაგები და პარტიის ხარჯზე მიეცა მათთვის შესაფერისი ნივთიერი დახმარება. (თვით მიხავე იყო პარტიის მოლარე).

6. გადასახლებულებს პარტიის სახელით უგზავნოს ფული, არალეგალური ლიტერატურა და საჭირო ხარჯები წამოსვლისთვის და

7. აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოსთან სომხეთთან, ადერბაიჯანთან და ბორჩალოსთან კავშირის გაბმა, არალეგალურ ლიტერატურის გზავნით.

ამ საქმეში შეუნიშნავი არ უნდა დაგვრჩეს აგრათვე მიხა ჩოდრიშვილის ცოლი, რომელიც მიხას დიდათ ხელს უწყობდა და ეხმარებოდა, როგორც ლიტერატურის გზავნაში აგრეთვე დანარჩენ საზოგადო საქმეებშიაც.

მიხას მეორე ძმამ კი, ზაქრო ჩოდრიშვილმა, იკისრა იაჩეიკების შექმნა შემდეგ ქარხნებში: მთავრკ. გ. სახელოსნოში, იარალოვის სახელოსნოში, ადელხანოვის ფეხსაცმლის ქარხანაში და სხვაგან.

როგორ უწყობდენ ხელს ჩოდრიშვილებს დიასახლისები?

ესენი იყვნენ ჩოდრიშვილების დედა ანა და მიხას მეუღლე მელანია

ამ მანდილოსანნის რევოლიუციონური მუშაობა ხასიათთდება მათი აქტიური მონაწილეობით ამ საქმეში და ხელის შეწყობაში, როგორც არალეგალურ ლიტერადურის გადატან-გადმოტანაში რაიონებში, აგრეთვე სტამბის ასოების და ყუმბარების მიტანა ადგილებზე და მათი შენახვა-პატრონობაში

მიხას მეუღლე მელანიას განსაკუთრებული დავალებანი და საქმიანობა.

1. ის იყო რევოლიუც. წითელ ჯვრის ხელმძღვანელი.

2. დაპატიმრებულ ამხანაგების და მათ ცოლშვილზე ზრუნვა.

3. ციხეში დაპატიმრებულ ამხანაგებს ნახულობდა და მიჰქონდა სანოვაგე, საცვლები და აძლევდა ამა თუ იმ ცნობებს და აგრეთვე გარეთ გა-

მოჰქონდა ციხის საიდუმლო ცნობები, რომელსაც ჩვენ ამხანაგებს აწვდიდა.

4. მელანია ახერხებდა ბურჟუაზიულ ოჯახებიდან ტუსაღებისთვის ათასგვარ დახმარებას ძიღებას და უნაწილებდა როგორც პოლიტიკურ პატიმრებს, აგრეთვე მათ გაჭირვებულ ოჯახებს.

ნიკას, ვანოს და სანდრო ჩოდრიშვილების მოვალეობანი.

ყველა ამათ ჰქონდათ საიდუმლო სტამბის მოწყობის მინდობილება, რომელთაც მოაწყეს კიდეც ეს უდელის ქუჩაზე გარდა ამისა, ამათვე მოაწყეს ბელინსკის ქუჩაზე იარაღის, ყუმბარების და საიდუმლო ლიტერატურის საწყობი, მაგრამ მთავრობის აგენტების თვალსა და ყურს ვერ ასცდა ეს საწყობი და ერთ ნშვენიერ დღეს ხელში ჩაუვარდათ. ამას მსხვერპლად დაედო თვით სახლის პატრონის, სულხანიშვილის, ოჯახიდან სამი სული და დანარჩენებსაც კატორღაში უკრეს თავი
მიუხედავათ ამისა, ამ სამმა ძმებმა ხელმეორედ მოაწყეს საიდუმლო სტამბა და იარაღის შესანახი საიდუმლო საწყობი პირველი ფინიკულიორის ძირში, ხოლო მეორე სამავოლნი ქუჩაზე.

ამათვე ეკუთვნით საიდუმლო სტამბების მოწყობა შემდეგ ადგილებში: ა) ჩულურეთში. ამ სტამბაში მუშაობა არ გაგრძელებულა, რადგანაც რომ

ჯაშუშებმა იჭვი აიღეს; ბ) ავლაბარში. ეს სტამბა ყველაზედ კარგათ და გეგმიანათ იყო მოწყობილი ამ სტამბისვე საკუთრებას შეადგენდა შენობა, რომელიც ააშენეს სანდრო, ნიკა, ვანო და მირიან კალატოზებმა. სტამბა იყო ელექტრონით განათებული და შესავალი ჭიდან ჰქონდა ხვრელით.

ამავე დროს სანდრო ჩოდრიშვილმა გააკეთა ყველა საჭირო მასალა და მოწყობილება ნადიროვკას საიდუმლო სტამბის საჭიროებისთვის, რომელიც შემდეგ ზაქრო ჩოდრიშვილმა და არაქელ ოქუაშვილმა აამუშავეს, მაგრამ მალე ესენიც ჩავარდნენ. ზაქროსა და არაქელას რვა-რვა წელიწადი კატორღა მიუსაჯეს. ზაქრო კატორღაში გარდაიცვალა, ხოლო არაქელა გადარჩა ჯალათებს.

ეს ზაქრო მე პირველათ გავიცანი ტფილისის სახელოსნო სკოლაში. სწავლის დროს ზაქროს ამხანაგებმა მომმართეს: „ძია ზაქარია! ეს მოწაფე გახლავთ ჩვენი სკოლის; იგი შენი სეხნიაა და იმედია, რომ კარგ მეგობრობას გაუწევ და კარგ წიგნებს ათხოვებო“. ამ დღიდგან ზაქრომ დაიწყო ჩემგნით წიგნების წაღება და სულ მოკლე ხანში გაეცნო ქართულ მწერლობას. ზაქროს რუსულიც კარგათ ეხერხებოდა. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა და აკრძალული ლიტერატურაც მთხოვა. მე მას ვათხოვე გაზ. „კოლოკოლის“, „ვპერიოდის“ და „ნა-

როდნაია ვოლის'' ნომრები, ,,საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია'' და სხვა მრავალი ასეთი წ გ-ნები.

ამაზედ ის სკოლიდანაც გამორიცხეს.

სკოლიდან გამორიცხვის შემდეგ ის უკვე აქ-ტიურად ებმევა მუშათა მოძრაობაში და ის ისე კარგათ მოემზადა რომ მან რუსულიდან ქართულად სთარგმნა რობესპიერი, მარტი, დანტონი და სხვ., მაგრამ ამ თარგმნებს ჩვენამდის არ მოუღწევნია, რადგან მას თან ქონდა კატორღაში და რა ბედი ეწია იქ, ეს ჩვენ არ ვიცით.

ვანო ჩოდრიშვილი ხელთბით სტალიარი იყო. მას ჩემგნით წიგნები მიჰქონდა სოფლათ და ჰყიდ-და მოცლის დროს. ამავე დროს ის ხალხში ამას საგიტაციოთ იყენებდა და წიგნების დატარების დროს ის თან აგიტაციასაც ეწეოდა ხალხში.

1881 წ. მარტის პირველს პეტროგრადში რუსეთის რევოლიუციონურ პარტიის წევრებმა მოკლეს იმპერატო-რი ალექსანდრე მეორე. ამ ამბავმა მთელი რუსეთის მო-ნარქიული მთავრობა ფეხზე დააყენა. გაძრიელებულ იქნა მაძებარი პოლიცია, ჟანდარმერია და სხვა. ასეთ რეპრე-სიებს არც ჩვენი ტფილისი გადარჩა.

მონარქიულმა მთავრობამ კარგათ იცოდა, რომ ტფი-ლისში ქართველი რევოლიუციონერები ბევრნი არიან და მათი წრეებიც არსებობენო. ამიტომ ტფილისსაც დიდი რისხვა მოელოდდა.

იმ დროს ჩემ სახლში ინახებოდა ექვსი ყუთი საი-

დუმლო სტამბის იარაღი, ასოები, კასები და ყველა საჭირო სტამბის მასალა.

ეს პარტაული სტამბა ჩემს სახლში გადმოიტანეს 1882 წ., აპრილში. ამისთვის იმ დროს მეც დიდ შიშში ვიყავი, მაგრამ რას ვიზამდი? სად უნდა წამეღო იმ სიმძიმე ყუთები? ამიტომ მე განვიძრახე მათი მიწაში დამარხვა და ამით გადარჩენა თავისა. ამიტომ ერთ დღეს მე დავიქირავე ორი მუშა და ეზოში ერთი დიდი ორმო მოვათხრევინე, მაგრამ ყუთები ვერ ავწიე. დავღონდი. არ ვიცოდი რა მექნა. მეორე დღეს მე ვინახულე მიხა ჩოდრიშვილი და ეს ამბავი უამბე. მიხამ მიპასუხა: „საღამოს შენ შინ იყავი, მე ჩემის ძმებით ამოვალთ და ჩვენ თითონ ჩავმარხავთ ორმოშიო“. მე იმედიანათ წავედი სახლში. და მართლაც საღამოს მოვიდნენ მიხა ჩოდრიშვილი, ამისი ძმა ნიკო, ხელობით სტალიარი, მეორე ძმები სანდრო და ვანო, სულ ოთხი კაცი, ამათ ისე ჩუმათ და ნელა დამარხეს სტამბა, რომ არავის არ გაუგია, მიუხედავათ იმისა, რომ იმ დროს ჩემ თვალწინ იდგა (1872 წ.) ჯაშუში იაგორ იოსელიანი, რომელმაც გასცა ტფილისის რევოლიუციონური კომიტეტი და მრავალი ქართველი დააჭერინა.

ეს სტამბა 5 წელწადი იყო დამარხული და მისი ამბავი არავინ არ იცოდა, გარდა ძმათა ჩოდრიშვილებისა, რომლითაც, სხვა რომ არ იყოს, მარტო ეს ერთი საქმე კმარა ჩოდრიშვილების ასამაღლებლად.

რა მსხვერპლი გაიღო ჩოდრიშვილების ოჯახმა?

რევოლიუციის მოლოდინში და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩოდრიშვილების ოჯახ-

მა ხუთი ჯან-ღონით სავსე და აქტიური სული შესწირა. ესენი იყვნენ:

პირველი. ჩოდრიშვილების დედა ანა.

ამ საბრალო ადამიანის სიკვდილას მიზეზი შემდეგი გარემოება იყო: 1903 წ. ჩირქეზიშვილის ქუჩაზე, ანას შვილის, სანდროს ბინაზე გასაჩხრეკათ ეწვივნენ ჟანდარმები. როცა ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს ჯანდარმებმა, მაშინ აკვანში მწოლიარე ქორფა ყმაწვილს მიუბრუნდნენ და აკვნიდან ძირს გადმოაგდეს; ყმაწვილს ცხვირპირიდან სისხლი წასქდა. ანა გაცეცხლდა და ჯანდარმებს წყევა დაუწყო. ჯანდარმებმა მას ხელი ჰკრეს და ფიცრის კუთხეს გვერდი ისე მაგრათ დაარტყმევინეს, რომ ძვლები ჩეედრიკა. ერთი კვირის შემდეგ ის ამ მიზეზით გარდაიცვალა.

მეორე. ნადიროვკას საიდუმლო სტამბის აღმოჩენის მიზესით კატორღაში გაგზავნილმა ზაქრომ შვიდი წლის ტყვეობამ იმდენად დაასუსტა ის, რომ ტანჯვას ველარ გაუძლო და 1916 წელს გარდაიცვალა.

მესამე. ნიკო, რომელიც მენშევიკების ჯალათებმა გამოასალმეს წუთი სოფელს.

ბეოთხე. ნიკოს შვილი, ლადო, გერმანია-ავსტრიის ფრონტზე ჯარში აგიტაციის გაწევისთვის ნიკოლოზის გენერლებმა დახვრიტეს.

მეხუთე. მისს ცოლი მელანია, ციხეებში მრავალი ტანჯვეების მიღების შემდეგ, ის როსტოვში გადასახლებული იქ გარდაიცვალა.

აი, ერთი კვანძი იმ ჯოჯოხეთურ ცხოვრებისა, რომელიც უკუღმართ ცხოვრების მსვლელობაში გადახედიათ ჩოდრიშვილების გვარეულებას.

ასეთი ტანჯული და წამებულია მიხა ჩოდრიშვილიც, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედი მას გულს არ უტეხავს ნახული და გამოვლილი მწარე მოგონებანი და ის დღესაც ამაყად შერჩენია თავის სადარაჯოს და მშრომელი ხალხის და კომუნიზმის საკეთილდღეოთ დღესაც მხნეთ განაგრძობს მუშაობას.

დიდება და პატივი მას!

ზ. ქ.

ᲡᲡᲠᲙ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ჭ. წ. დ. სტამბა. — ტირაჟი 1000. — მთავლიტი № 335.

947.922
Ჯ 551

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲥᲐᲠ.